
მსოფლიო ლიტერატურა და ნაციონალური ლიტერატურები
World Literature and National Literatures

Ledi Antidze

ლედი ანთიძე

East European University

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Notable Concepts of Hybrid Literature: Georgian Example
(Nino Kharatishvili's Nover "The Eighth Life (for Brilka)"

ჰიბრიდული ლიტერატურის ნიშანდობლივი კონცეპტები: ქართული მაგალითი
(ნინო ხარატიშვილის რომანი „მერვე სიცოცხლე (ბრილკას)“

One of the distinctive features of hybrid literature is blurring clear ethnic and cultural boundaries and the creation of a new multicultural phenomenon containing diverse cultural-literary values. It should be noted that it is impossible to divide hybrid literature and writers into categories, in terms of national affiliation. The article is about one of such writer – Nino Kharatishvili, a successful author living and working in Germany, who has stated in numerous interviews that the essence of her literary hybridity is "splitting", doubling. In the article we analyze the novel "The Eighth Life (for Brilka)" as an outstanding example of hybrid literature.

Keywords: Hybridity, Hybrid Literature, Multiculturalism.

თანამედროვე მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში, როდესაც, მიგრაციის შედეგად, სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მქონე ადამიანები ინტენსიურად იყრიან თავს მათთვის უცხო, ახალ გეორგაფიულ არეალში, სრულიად განსხვავებული კულტურულ-მენტალური, ეთნიკურ-რელიგიური ფორმაციის ერებში, ჩვენს თვალწინ ფორმირდება ახალი ტიპის ლიტერატურული პროცესი. სხვადასხვა კულტურები ცოცხალ რეჟიმში ურთიერთქმედებენ, ურთიერთრეაგირებენ და ურთიერთზემოქმედებენ, რაც იწვევს არა რომელიმე მათგანის გაბატონებას, დომინანტობას მეორეზე, არამედ იქმნება სრულიად ახალი, სუბკულტურული ლიტერატურული მოვლენა თუ პროდუქტი, რომელსაც თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში უკვე ეწოდა ჰიბრიდული ლიტერატურა.

მწერლები სხვადასხვა მიზეზით ტოვებენ ეროვნული კულტურის სივრცეს და იცვლიან ადგილ-სამყოფელს, მიემგზავრებიან სხვა ქვეყნებში საცხოვრებლად. მიგრაციის, როგორც მოვლენის მნიშვნელობის დასახასიათებლად, ბუნებრივია, საკმარისი არ იქნება მისი, როგორც სივ-

რცეში გადაადგილების, აღწერა. თუ მიგრაციის სიდრმისეული გააზრება გვსურს, მას, როგორც ფსიქოლოგიური და კულტურული ფაქტორებით განპირობებულ მოვლენას, უნდა შევხედოთ, რომელიც გარკვეულწილად ცვლის იდენტობას. მართალია, მწერალი მიგრანტი გეოგრაფიულად და ტერიტორიულად სხვა (უცხოეროვნულ) სამყაროშია, მაგრამ კულტურულ-მენტალური თვალსაზრისით მას ერთგვარი „შუალედური სივრცე“ (interstitial space) უჭირავს. ჰიბრიდობის კონცეფციის ერთ-ერთი ავტორი, ცბობილი მკვლევარი ჰომი ბაბა მიგრანტი მწერლების შემოქმედების თავისებურებებს იმითაც ხსნის, რომ მიგრანტი მწერალი ორივე სამყაროს ნაწილად მიიჩნევს თავს, თუმცა რეალურად ვერც ერთ მათგანში ვერ თავსდება.

თანამედროვე ეპოქაში ლიტერატურა ხდება უფრო მეტად მრავალმხრივი, არაერთგვაროვანი, ის კი არ იწმინდება, არამედ პირიქით, მდიდრდება ახალი, ურთიერთმერწყმული, იგივე ჰიბრიდული კონცეპტით. ფართომასშტაბიანი მსოფლიო მიგრაციის შედეგად, იმ ფაქტის წინაშე დავდექით, როდესაც თანამედროვე სამყაროში საკმაოდ ბევრი მწერალია, მშობლიურ ენაზე რომ არ წერს. ისინი მათთვის არამშობლიურ, უცხოურ ენებზე ქმნიან მხატვრულ ნაწარმოებებს. ეს თავისთავად ძალიან საინტერესო მოვლენაა და ქმნის ლიტერატურის ახალ განზომილებას, ახალ კონტექსტს. კერძოდ, ამ მწერლებს ახალ ენობრივ გარემოში, მათთვის არამშობლიურ ქვეყანაში, განსხვავებული სოციალური, კულტურული, პოლიტიკურ-ეკონომიკური ფორმაციის ერში, საკუთარი მხატვრული ნაწარმოებების მეშვეობით, შეაქვთ ეგზოტიკური, ძალიან უცხო, უცნაური, და, ამავდროულად, ძალიან მიმზიდველი თემები, ხშირად გადმოცემული ამ ერის ლიტერატურული ტრადიციებისათვის არადამახასიათებელი ფორმებით, მანერით, მხატვრულ-ესთეტიკური თავისებურებებით, კულტურებს შორის სწორედ ამ ცოცხალი და ინტენსიური ურთიერთქმედების შედეგად იქმნება ჰიბრიდული ლიტერატურული პროცესი.

ეს პროცესი და მოვლენა იმდენად საინტერესოა, რომ თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეთა ყურადღებას იპყრობს და ჩვენი კვლევის საგანსაც წარმოადგენს – ეროვნებით ქართველი მწერლების შემოქმედება, რომლებიც ნაწარმოებებს უცხო ენებზე ქმნიან. ეს მულტიკულტურული მოვლენა განპირობებულია პოლიტიკურ-ეკონომიკური ძვრებით. XX საუკუნეში მრავალი იმპერია დაინგრა, რამაც მსოფლიოს როგორც პოლიტიკური, ასევე კულტურული რუკაც შეცვალა. შეიქმნა ჰიბრიდული ხასიათის პოსტკოლონიური კულტურა, რომელიც მიიღება მეტროპოლიებისა და კოლონიების კულტურათა ნიშან-თვისებების ურთიერთზემოქმედებითა და ტრანსფორმირებით. ამ ეპოქაში დიდმა იმპერიულმა სახელმწიფოებმა დასთმეს კოლონიები. მაგალითად, ბრიტანეთმა – ინდოეთი, საფრანგეთმა – აფრიკის კოლონიზებული ქვეყნები და ა.შ. ხოლო XX საუკუნის მიწურულს 70-წლიანი ისტორიის მქონე ძალადობრივი სახელმწიფოს, საბჭოთა კავშირის, დაშლა მსოფლიო მნიშვნელობის მქონე მოვლენად იქცა. ამ უმნიშვნელოვანესმა გეოპოლიტიკურმა ცვლილებებმა საფუძველი მისცა „კოლონიალური“ და „პოსტკოლონიალური“ დისკურსების ჩამოყალიბებას მრავალ სფეროში – პოლიტოლოგიაში, სოციოლოგიაში, ხელოვნებათმცოდნეობაში, კულტუროლოგიაში, ლიტერატურათმცოდნეობაში და ა.შ.

ჰიბრიდობის როგორც სოციალურ-კულტურული ფენომენის შესწავლას საფუძველი XX საუკუნის მე-2 ნახევრიდან დაედო. ეს კვლევები კიდევ უფრო მომრავლდა XXI საუკუნეში. ტერმინი „ჰიბრიდი“ პირველად ფართოდ გამოიყენეს XIX საუკუნეში რასისა და სხვადასხვა რასების შეჯვარების საკითხების გადასაჭრელად. იგი ასევე აქტიურად გამოიყენებოდა ბიოლოგიაში თუმცა, „ჰიბრიდობა“ როგორც სამეცნიერო ტერმინი იმთავითვე დატვირთული იყო რასობრივი და კულტურული ცრურწმენებით. მხოლოდ XX საუკუნიდან დაიწყო პოსტკოლონიალისტებმა ტერმინი ჰიბრიდობის გამოყენება უფრო პოზიტიურად და დივერსიულად. ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ჰომი ბაბას მიერ ჰიბრიდობის კონცეფციის გამოყენება კოლონიალიზმის საწინააღმდეგო თეორიის შესაქმნელად.

ჰიბრიდული ტიპის ლიტერატურაზე საუბრისას, კოლონიალურ და პოსტკოლონიურ დისკურსებთან ერთად, გვერდს ვერ ავუვლით მსოფლიო ცნობადობის მქონე, წარმოშობით ინდო-პაკისტანელ მწერლს სალმან რუშდის ფენომენს, რომელიც ინგლისურ ენაზე ქმნის ნაწარმოებებს.

ზოგადად, ინდოელი ავტორების შემოქმედება, რომლებიც ინგლისურ ენაზე წერენ (ეს პროცესი საუკუნეზე ცოტა მეტი ხნის წინ დაიწყო), ყოველთვის იქცევა ლიტერატორების, სოციოლოგების და ანთროპოლოგების ყურადღებას, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ასახავს ინდოეთის მულტიკულტურალიზმს, არამედ იმიტომაც, რომ ის ასახავს დიალექტიკას აღმოსავლეთისა და დასავლეთის სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ მგრძობელობას შორის. დიახ, ჰიბრიდული ხასიათის მხატვრული ლიტერატურა უფრო მეტად გლობალურია, ვიდრე ლოკალური და ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია ნინო ხარატიშვილის ეპიკური რომანი „მერვე სიცოცხლე (ბრილკას)“. ნინო ხარატიშვილი კითხვაზე, – რას ფიქრობს ავტორი, ლიტერატურა მიბმულია თუ არა რომელიმე ქვეყანაზე, ენაზე, თუ იგი ენის და ერისგან დამოუკიდებლად არსებობს, მწერალი პასუხობს: „*მე მგონი ორივე... მაინც რაღაცნაირად მგონია, რომ ორივე სიმართლეს შეესაბამება – ისიც, რომ ენას არის მიბმული და ისიც, რომ რაღაც მხრივ აღარ არის მიბმული, თუ, ვთქვათ, კარგ წიგნთან და კარგ ლიტერატურასთან გვაქვს საქმე*“ (ხარატიშვილი, 2015 (ელექტრონული რესურსი)). ასევე ერთ-ერთ ელექტრონულ რესურსში ხარატიშვილი აღნიშნავს, რომ თავდაპირველად გერმანულ პრესაში მოიხსენიებდნენ, როგორც ქართველ მწერალს, ხოლო „მერვე სიცოცხლის“ გამოსვლის შემდეგ გახდა გერმანელი მწერალი, არადა, ამბავი საქართველოზეა. იქვე ხარატიშვილი განაწვრივს, რომ დღესდღეისობით გერმანიაში ძალიან ბევრი ავტორია არაგერმანული წარმომავლობის.

„რაც უფრო დიდხანს ვცხოვრობ გერმანიაში, მით უფრო მეტად ვქართველდები... მით უფრო მეტად ვიჭერ საკუთარ თავში იმას, თუ რამდენად დიდია ჩემში ქართველის იდენტიფიკაცია, მაგრამ ჩემი ენა გერმანულია, ჩემი ლიტერატურული ენა გერმანულია, თუმცა, როგორც ადამიანი, ამ ორ ქვეყანას შორის – საქართველოსა და გერმანიის შორის ვარ გაჩხერილი“ (ხარატიშვილი, 2015; ელექტრონული რესურსი).

სწორედ ეს „გახლეჩილობა“ , გაორება, ორმაგობა არის ჰიბრიდობის არსი. თავად მიგრანტ მწერალ ნინო ხარატიშვილის და მისი ასევე მიგრანტი პერსონაჟების მაგალითზე რომანიდან „მერვე სიცოცხლე (ბრილკას)“ თამამად შეგვიძლია ვისაუბროთ ჰიბრიდობაზე, როგორც მიგრაციის კულტურულ პტოდუქტზე. ზოგადად, მწერლის თუ მისი პერსონაჟების თვითიდენტიფიკაციის ჩამოყალიბების პროცესი მთელ რიგ პერიპეტიებს გაივლის სივრცეში გადაადგილების შედეგად. „*სივრცეში გადაადგილება, იგივე მიგრაცია თანამედროვე სამყაროში წარმოშობს კითხვებს პიროვნების ტომობრივი, ეთნიკური იდენტობის ვალიდურობის შესახებ*“ (Bozkurt, 2021; ელექტრონული რესურსი). ახალი გარემო გეპყრობა და თავს გაგრძობინებს როგორც უცხო და ამ მდგომარეობიდან ტრანსფორმირება, რათა ახალ გარემოში თავი „შინაურად“ დაიმკვიდრო, ძალიან რთული პროცესია. ეს პროცესი იწვევს არა მხოლოდ პრაქტიკულ სიმწელებებს, როგორცაა ფინანსური სტაბილურობის საკითხი, არამედ სულიერ სირთულეებსაც, როგორცაა პიროვნების მოთხოვნილება მოახდინოს თვითიდენტიფიკაცია ახალ გეორგაფიულ გარემოსთან და სოციუმთან, ახალ სარბიელზე დაიმკვიდროს თავი.

ნინო ხარატიშვილის ემიგრაციაში, უცხო ქვეყანაში მოკლე თუ გრძელი ვადით მყოფი პერსონაჟები რომანიდან „მერვე სიცოცხლე (ბრილკას)“ და ასევე სულ ახალი რომანიდან „კატა და გენერალი“ ძალიან საინტერესო და სახასიათო, ქრონოლოგიურ სურათს ქმნიან საქართველოს მოქალაქეების მიგრაციული სურათისა, – XX საუკუნის დასაწყისიდან – XXI საუკუნის დასაწყისამდე, რაც განპირობებული იყო ქვეყნის და რეგიონის დრამატული პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ სოციალურ-კულტურული ძვრებით.

მიგრანტის თვითიდენტიფიცირების ძალიან საინტერესო და წინააღმდეგობრივი პროცესი შეგვიძლია მივუსადაგოთ ემიგრირებული ნინო ხარატიშვილის ბიოგრაფიას და მისი ასევე მიგრანტი პერსონაჟების შინაგან სულიერ ძვრებს. კონკრეტულად, ვგულისხმობთ ისეთ პერსონაჟებს, როგორებიცაა: სოფიო ერისთავი, კიტი ჯაში და ნიცა ჯაში. ამ პერსონაჟების როგორც სხვადასხვა კულტურათა ერთგვარი ჰიბრიდული ნაზავების თვითშემეცნება მუდმივად ვითარდება, იზრდება, ფართოვდება უცხო კულტურებთან ურთიერთქმედებით, ახალი ცოდნისა და გამოცდილების შეძენით და თვალნათლივ გამოიხატება მათ პიროვნულ ზრდაში. ერთ-ერთ ინტერვიუში სალმან რუშდი საუბრობს ორი სამშობლოს ქონის უპირატესობებზე და ამბობს: „ეს საინტერესოა, ეს გაძლევს სტერეოსკოპიულ ხედვას, ვინაიდან შენ შეგიძლია ორ საზოგადოებას ერთდროულად შეხედო, დააკვირდე შიდა და გარე პერსპექტივიდან და, მე ვფიქრობ, ეს სიმძაფრე უკვე ძალიან სასარგებლოა“ (Rushdie, 2022; ელექტრონული რესურსი).

სწორედ ასევე, ნინო ხარატიშვილის მიგრანტი პერსონაჟები, მეამბოხური, მრავალმხრივი, მულტიკულტურული ბუნების მატარებელი არიან და ამ ბუნების ფორმირებაში, მათ სწორედ თავისი ჰიბრიდული არსი ეხმარებათ. ნინო ხარატიშვილს, როგორც მიგრანტ მწერალს, აქვს ფუფუნება და უპირატესობა სამშობლოს გარე და შიდა პერსპექტივიდან ერთდროულად დააკვირდეს, გაანალიზოს ჩვენი ქვეყნის XX საუკუნის და უახლესი ისტორია სწორედ სტერეოსკოპიული ხედვით, რომელიც საშუალებას აძლევს მას ერთი და იგივე „საგანს“ ამ შემთხვევაში, – საქართველოს ორი სხვადასხვა რაკურსით, ორი სხვადასხვა პერსპექტივით უყუროს.

ნინო ხარატიშვილი 80-იანელთა თაობის წარმომადგენელია, რომლის მოზარდობის ასაკმაც 90-იანი წლების საქართველოში განვლო. სწორედ ეს პერიოდი ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ყველაზე რთული და კატაკლიზმებით სავსე ათწლეულია. დამოუკიდებლობის მოპოვება, რაც თაობების ოცნება იყო და წლების მანძილზე არაერთი ქართველი პატრიოტის სიცოცხლე შეეწირა და რასაც, თითქოს, ქვეყნის წინსვლა და პროგრესი უნდა გამოეწვია, სრულიად საპირისპირო, დრამატული და ტრაგიკული მოვლენების მაპროვოცირებელი აღმოჩნდა! როგორც ცნობილი პოლონელი სოციოლოგი პიოტრ შტომპკა თავის წიგნში „კულტურული ტრავმა და კოლექტიური იდენტობა“ წერს: „ძირეულმა სოციალურმა ცვლილებებმა, რომლებიც არსობრივად პროგრესულია, შესაძლოა მძიმე შედეგები გამოიწვიოს. ამ ცვლილებების შემდეგ პროცესები არა ხავერდოვნად და სტაბილურად მიმდინარეობს, არამედ ის ხშირად მოითხოვს „სისხლს, ოფლს და ცრემლებს“ (Shtompka, 2004, გვ. 165). შტომპკა ამ ლოგიკით ავითარებს სოციოლოგიაში ცნობილ ტრავმის და პოსკომუნისტური „გამარჯვების ტრავმის“ თეორიებს, რომლებმაც გავლენა მოახდინეს ჰუმანიტარულ მეცნიერებებზეც.

„მერვე სიცოცხლე (ბრილკას)“ 2014 წელს გამოიცა გერმანიაში. წიგნი ქართულად ნინო ბურდულმა თარგმნა. ნინო ხარატიშვილის აღნიშნული ეპიკური რომანი მხატვრულად და ძალიან ემოციურად ასახავს XX საუკუნის გარდამტეხ პოლიტიკურ, სოციალურ თუ კულტურულ მოვლენებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში, რუსეთში, საბჭოეთში, ნაწილობრივ, ევროპაში 1900 წლიდან – 2007 წლამდე. ამ თითქმის ათას ორასგვერდიანი რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირი, ნარატორი ნიცა ჯაში, რომელმაც ეს საგა თავისი დისშვილის, თორმეტი წლის ბრილკასთვის დაწერა, XX საუკუნეს „წითელ საუკუნეს“ უწოდებს, რომელმაც ყველა მოატყუა და ყველას უღალატა. რომანში ქრონოლოგიურად, პერსონაჟების ბიოგრაფიების კვალდაკვალ და ამ ტრაგიკული ბიოგრაფიების განმაპირობებელი კატაკლიზმების სახით, ცოცხლდება მთელი XX საუკუნე თავისი სისასტიკით და დაუნდობლობით. მთელი ეს ტრაგიკული მოვლენები უაღრესად ტრავმულია და არა უბრალოდ გასდევს, არამედ განსაზღვრავს და განაპირობებს ჯაშების ოჯახის რვა თაობის წარმომადგენელთა და მათთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებული პერსონაჟების ბედს. ეს არის რეალისტური რომანი, – ისტორიული სინამდვილის, ფაქტების კეთილსინდისიერი აღწერით.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უცხო ენებზე შექმნილი ქართველი მწერლების ნაწარმოებები, და ამ შემთხვევაში, ნინო ხარატიშვილის ეპიკური რომანი, საინტერესოდ მიემართება მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებს და, ასევე, სახასიათოდ ასახავს ქართულ თემატიკას გლობალურ ლიტერატურულ კონტექსტში.

თანამედროვე მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში, როდესაც, მიგრაციის შედეგად, სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მქონე ადამიანები ინტენსიურად იყრიან თავს მათთვის უცხო, ახალ გეოგრაფიულ არეალში ჩვენს თვალწინ იცვლება და ფორმირდება ახალი ტიპის ლიტერატურული პროცესი; იქმნება სრულიად ახალი, სუბკულტურული ლიტერატურული მოვლენა თუ პროდუქტი, რომელსაც თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში უკვე ეწოდა ჰიბრიდული ლიტერატურა.

ჰიბრიდობის, როგორც სოციალურ-კულტურული ფენომენის, შესწავლას საფუძველი XX საუკუნის II ნახევრიდან ჩაეყარა და დღემდე აქტიურად მიმდინარეობს. ჰიბრიდული ლიტერატურის ერთ-ერთი ნიშანდობლივ მახასიათებელს მკაფიო ეთნიკური და კულტურული საზღვრების წაშლა და ახალი, მრავალფეროვანი კულტურულ-ლიტერატურული ფასეულობათა შემცველი მულტიკულტურული ფენომენის შექმნა წარმოადგენს. ნიშანდობლივია, რომ ჰიბრიდული ლიტერატურისა და მწერლების კატეგორიზებად დაყოფა, ეროვნული კუთვნილების თვალსაზრისით, შეუძლებელია. თანამედროვეობაში ლიტერატურა ხდება უფრო მეტად მრავალმხრივი, არაერთგვაროვანი, იგი მდიდრდება ახალი, ურთიერთმერწყმული, იგივე ჰიბრიდული კონცეპტით. ეს მულტიკულტურული მოვლენა განპირობებულია პოლიტიკურ-ეკონომიკური ძვრებით.

ბილინგვიზმი ჰიბრიდული მხატვრული ლიტერატურის თამნხლები მოვლენაა. კოლონიური ეპოქის ქართული ლიტერატურისათვის ძირითადად დამახასიათებელი იყო ქართულ-რუსული ბილინგვიზმი. მწერლის ბილინგვიზმი სხვადასხვა ფორმით შეიძლება გამოვლინდეს.

ბილინგვიზმზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით მწერლის ენას. მწერლის ენა, რომელიც მისი ესთეტიკური სამყაროსა და ნიჭის წარმოჩენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა, მრავალი ფაქტორის ზემოქმედების შედეგად ყალიბდება. მწერლის ორენოვნება, უპირველეს ყოვლისა, სწორედ იმ ენობრივი ქსოვილის თავისებურებებზე ახდენს ზეგავლენას, რომელზეც იგი წერს. მეორე ენაზე დაწერილი ნაწარმოების სახეთა სისტემაში აუცილებლად აისახება მშობლიური ენა, იგრძნობა მისი გავლენა.

უცხო ენებზე მოღვაწე ქართველი მწერლების შემოქმედება მკაფიოდ გამოხატული მულტიკულტურული ლიტერატურული მოვლენაა. მასში ასახვას ჰპოვებს ქართული ეთნიკური თემატიკა მსოფლიო გლობალიზაციის კონტექსტში; წარმოჩენილია მიმართება როგორც ლოკალურ ასევე მსოფლიო სოციალურ-პოლიტიკურ, თუ კულტურულ მოვლენებთან; ქართული თემები და არქეტიპები ამ ნაწარმოებში ჰარმონიულად ასიმილირდება ზოგადსაკაცობრიო მსოფლიო თემებთან თუ სახეებთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბერიძე, ლ. (2014). ფორა, თბილისი: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“.

ბოჭორიშვილი, ე. (2016). სტენოგრაფიული რომანები, თბილისი: „სეზანი“.

ვარდაიშვილი, ლ. (2024). ერთი დიდი ტყის მახლობლად, თბილისი: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“.

კუცია, ნ. თოდუა, მ. ტურავა, მ. (2021). ქართული ლიტერატურა – ტრადიცია, რაკურსი, კონტექსტი (მოდერ-ნიზმი/პოსტმოდერნიზმი), თბილისი: „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

რობაქიძე, გ. (2017). ჩაკლული სული, თბილისი: „ინტელექტი“.

ქარუმიძე, ზ. (2020). დაგნი ანუ სიყვარულის ალაპი, თბილისი: „ინტელექტი“.

ხარატიშვილი, ნ. (2019). მერვე სიცოცხლე (ბრილკას), თბილისი: „ინტელექტი“.

ხარატიშვილი, ნ. (2023). კატა და გენერალი, თბილისი: „ინტელექტი“.

Bakhtin, M.M. (1981). *The Dialogic Imagination: Four Essays*. Texas: University of Texas Press.

Bhabba, K. H. (1988). The Commitment to Theory. *New Formations*, Number 5, Summer.
Shtompka, P. (2004). *Cultural trauma and collective Identity*. California: University of California Press.

ინტერნეტრესურსები:

ლომთაძე, ა. (2015). ინტერვიუ ნინო ხარატიშვილთან, „რადიო თავისუფლება“.
<https://www.radiotavisupleba.ge/a/nino-kharatishvili/26913456.html>
Begum, S. (2022). Identity and its Representation in Salman Rushdie's *Midnight's Children*, *Contemporary Literary Review*, India, No.4. <https://www.literaryjournal.in/index.php/clri/article/view/1058/1225>
Bozkurt, I. (2021). Migration and Hybridity: Stereoscopic Vision in the Novels of Rushdie, Mukherjee and Ghosh, Windsor: University of Windsor https://scholar.uwindsor.ca/https://scholar.uwindsor.ca/etd/2732?utm_source=scholar.uwindsor.ca%2Fetd%2F2732&utm_medium=PDF&utm_campaign=PDFCoverPages
Runguang, P. (2021). *Hybrid Fiction and the Constitution of Subjectivity In Twenty-First Century American Literature*, Leeds: University of Leeds. <https://www.google.com/search?q=Runguang%2C+Phanphaka&rlz>

References:

Bakhtin, M.M. (1981). *The Dialogic Imagination: Four Essays*. Texas: University of Texas Press.
Beridze, L. (2014). *Pora*. [Fora]. Tbilisi: „Bak'ur Sulak'auris gamomtsemloba“.
Bhabba, K. H. (1988). *The Commitment to Theory*. *New Formations*, Number 5, Summer;
Boch'orishvili, E. (2016). *St'enograpiuli romanebi*. [Shorthand Novels]. Tbilisi: „sezani“.
Karumidze, Z. (2020). *Dagni anu siq'varulis aghap'i*. [Sacrifice or the Agape of Love]. Tbilisi: „int'elekt'i“.
Kharat'ishvili, N. (2019). *Merve sitsotskhle (brilk'as)*. [The Eighth Life (Brilkas)]. Tbilisi: „int'elekt'i“.
Kharat'ishvili, N. (2023). *K'at'a da generali*. [The Cat and the General]. Tbilisi: „int'elekt'i“.
K'utsia, N., Todua, M., T'urava, M. (2021). *Kartuli lit'erat'ura – t'raditsia, rak'ursi, k'ont'ekst'i (modernizmi/p'ost-modernizmi)*. [Georgian Literature – Tradition, Perspective, Context (Modernism/Postmodernism)]. Tbilisi: „sokhumis sakhelmts'ipo universit'et'i“.
Robakidze, G. (2017). *Chak'luli sul*. [The Slain Soul]. Tbilisi: „int'elekt'i“.
Shtompka, P. (2004). *Cultural trauma and collective Identity*. California: University of California Press.
Vardiashvili, L. (2024). *Erti didi t'q'is makhloblad*. [Near One Big Forest]. Tbilisi: „Bak'ur Sulak'auris gamomtsemloba“.

Online resources:

Begum, S. (2022). Identity and its Representation in Salman Rushdie's *Midnight's Children*, *Contemporary Literary Review*, India, No.4. <https://www.literaryjournal.in/index.php/clri/article/view/1058/1225>
Bozkurt, I. (2021). Migration and Hybridity: Stereoscopic Vision in the Novels of Rushdie, Mukherjee and Ghosh, Windsor: University of Windsor https://scholar.uwindsor.ca/https://scholar.uwindsor.ca/etd/2732?utm_source=scholar.uwindsor.ca%2Fetd%2F2732&utm_medium=PDF&utm_campaign=PDFCoverPages
Lomtadze, A. (2015). *Int'erviu Nino Kharat'ishviltan*. [Interview with Nino Kharatishvili]. „Radio tavisupleba“.
<https://www.radiotavisupleba.ge/a/nino-kharatishvili/26913456.html>
Runguang, P. (2021). *Hybrid Fiction and the Constitution of Subjectivity In Twenty-First Century American Literature*, Leeds: University of Leeds. <https://www.google.com/search?q=Runguang%2C+Phanphaka&rlz>